

პროექტი ელექტრომაგნიტური ველის (EMF) შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად

არასამთავრობო ორგანიზაციამ „კავშირი მდგრადი განვითარებისთვის - ეკოხედვა“ (EcoVision) განახორციელა პროექტი „მდგრადი ენერჯია უსაფრთხო მომავლისთვის“, რომელიც მომზადდა „გადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტის“ ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) დაფინანსებითა და მხარდაჭერით.

EcoVision-ის მიერ შემუშავებულ იქნა საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიზანი იყო სსე-ს მიერ დაგეგმილი სამშენებლო პროექტების მიმართ საზოგადოებისა და მშენებლობით გამოწვეული ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება გარემოზე ზემოქმედების, მოსახლეობის უფლებების და უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის მეშვეობით.

მოცემული პროექტი მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას გურიის რეგიონში მიმდინარე ელექტროგადამცემი ხაზის (ეგხ) პროექტის შესახებ, რის ფარგლებშიც ჩატარდა ტრენინგები მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და ადგილობრივი თემების წარმომადგენლებთან.

პროექტის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, დარიგდა საგანმანათლებლო ბროშურები, ხოლო მოსწავლეებისათვის - საგანგებოდ ამ მიზნით შექმნილი კომიქსები.

ტრენინგები მიზნად ისახავდა მდგრადი განვითარების პრინციპების და ენერგეტიკული უსაფრთხოების მნიშვნელობის, ენერჯიის განაწილებისა და სსე-ის პროექტების მნიშვნელოვნების შესახებ ინფორმირებას, ასევე, ელექტრომაგნიტური ველის (EMF) ზეგავლენის შესახებ სწორი და დაზუსტებული მონაცემებისა და საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული სტანდარტების ჩვენებას.

ტრენინგის ფარგლებში, ადგილობრივ მოსახლეობას გააცნეს თეორიული მასალა, ჩატარდა პრაქტიკული სავარჯიშოები და ასევე, სხვადასხვა ადგილებში მოხდა ელექტრომაგნიტური ველის (EMF) გაზომვა სპეციალური ელექტრომაგნიტური ველის გამზომი ხელსაწყოთი, რამაც დამსწრე საზოგადოება დაარწმუნა დადგენილი ბუფერული ზონის გარეთ, ელექტრომაგნიტური ველის უსაფრთხოებაში.